



ძირითადი ინფორმაცია კონკურსის შესახებ:

- **კონკურსის ვადები:** საკონკურსო დოკუმენტაცია ელექტრონული ფორმით მიიღება 2020 წლის **8 დეკემბრიდან - 22 დეკემბრის 18 საათამდე**. მისამართზე: Lmetreveli@creativegeorgia.ge.
პროექტის საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის ვადა განსაზღვრულია **2021 წლის 1-ლ მარტამდე**.
- **პროექტით გათვალისწინებული თანხის მოცულობა:** ერთი პროექტისთვის მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა არ უნდა აღემატებოდეს **13 000 ლარს**.
- **პროექტის ფორმატი:** კონკურსი ითვალისწინებს გამარჯვებული პროექტების ბენეფიციარების მიერ დაგეგმილი კვლევის პროცესში „ბრიტანეთის საბჭოს“ მიერ შერჩეული ბრიტანელი ექსპერტის ჩართულობას: - ონლაინ კონსულტაციებს. კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელი პირობაა საგრანტო კონკურსში ჩართული პერსონალიდან მინიმუმ **ერთი ფლობდეს ინგლისურ ენას**, რათა შესაძლებელი გახდეს კონკურსის მიმდინარეობის პროცესში ბრიტანელ ექსპერსტთან კომუნიკაცია.
- კონკურსი ითვალისწინებს კვლევითი საქმიანობის განხორციელებას ჩამოთვლილი **4 მიმართულებიდან მხოლოდ 1-ის შესახებ:** (1) შემოქმედებითი ინდუსტრიების ერთ ქვესექტორში¹ ან/და ქვესექტორთა ჯგუფში უნარებისა და კომპეტენციების საჭიროებათა ანალიზის ჩატარება; (2) შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულებით სექტორული თუ ქვესექტორული ასოციაციებისა თუ კავშირების/ორგანიზაციების საჭიროებათა ანალიზი; (3) მუნიციპალურ პოლიტიკასა და პრაქტიკაში შემოქმედებითი ინდუსტრიების რესურსებისა და განვითარების პოტენციალის ანალიზი; (4) შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის კომერციალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არსებული მდგომარეობის/პრაქტიკის და განვითარების პოტენციალის შეფასება.

კონკურსის წესი და პირობები

1. ზოგადი ინფორმაცია კონკურსის შესახებ

ა) კონკურსის მიზანია შემოქმედებითი მეწარმეობის სექტორის გაძლიერება, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და სექტორის წარმომადგენლებში კვლევისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებით.

ბ) კონკურსის ამოცანებია:

- ❖ შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორში კვლევითი საქმიანობის წახალისება;
- ❖ სრულად შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორში და ცალკეულ ქვესექტორებში მონაცემთა ბაზების ფორმირების და არსებული საჭიროებებისა და ტენდენციების გამოვლენის და აღწერის ხელშეწყობა;
- ❖ შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის ორგანიზაციებისა და პროფესიონალების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება კვლევისა და მონაცემთა აღნუსხვის მიმართულებით;
- ❖ შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორში თანამშრომლობის წახალისება.

გ) კონკურსი ითვალისწინებს კვლევითი საქმიანობის განხორციელებასა და კვლევის ანგარიშის მომზადებას ქვემოთ მოყვანილი 4 ძირითადი მიმართულებით. შემოტანილი საპროექტო განაცხადი უნდა პასუხობდეს ჩამოთვლილთაგან მხოლოდ 1 მიმართულებას:

- 1) შემოქმედებითი ინდუსტრიების ერთ ქვესექტორში² ან/და ქვესექტორთა ჯგუფში უნარებისა და კომპეტენციების საჭიროებათა ანალიზის ჩატარება და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოცემული მიმართულებით განათლების სისტემის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება;
- 2) შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულებით სექტორული თუ ქვესექტორული ასოციაციებისა თუ კავშირების/ორგანიზაციების საჭიროებათა ანალიზი; საუკეთესო გამოცდილების შეფასება და საქართველოში განხორციელებადი შესაძლო სქემებისა თუ მოდელების შემუშავება/შეთავაზება;
- 3) საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი ისეთი რეგიონული/მუნიციპალური პოლიტიკისა და პრაქტიკის მიმართულებით, რომელიც კონკრეტული ადგილმდებარეობის ეკონომიკური თუ სოციალური განვითარების მამოძრავებელ

¹ გთხოვთ, ისარგებლეთ სსიპ “შემოქმედებითი საქართველოს” მიერ შედგენილი კლასიფიკაციით

² გთხოვთ, ისარგებლეთ სსიპ “შემოქმედებითი საქართველოს” მიერ შედგენილი კლასიფიკაციით

შემოქმედებითი ინდუსტრიების კვლევის მხარდაჭერა საქართველოში

ძალად შემოქმედებით რესურსს მიიჩნევს. მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქართველოს ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის (ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ, პოსტინდუსტრიულ და მაღალმთიან მუნიციპალიტეტებზე განსაკუთრებული აქცენტით) განვითარების პოტენციალის შესწავლა და სარეკომენდაციო ინსტრუქციების პაკეტის/გზამკვლევის შემუშავება მუნიციპალიტეტების ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

- 4) შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის კომერციალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არსებული მდგომარეობის/პრაქტიკის და განვითარების პოტენციალის შეფასება. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შემოქმედებითი მეწარმეებისთვის კომერციალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ინსტრუქციების პაკეტის შემუშავება.

დ) პროექტი ორკომპონენტია და დაფინანსების გაცემასთან ერთად, გულისხმობს გამარჯვებული პროექტების გადამხადებას და კვლევის პროცესში მენტორობას.

- ❖ პირველი ეტაპი გულისხმობს კონკურსის გამოცხადებას, საკონკურსო განაცხადების მიღებას, საკონკურსო კომისიის მიერ განაცხადების განხილვასა და შედეგების გამოცხადებას;
- ❖ მეორე ეტაპზე, კონკურსი ითვალისწინებს გამარჯვებული პროექტების ბენეფიციარების მიერ დაგეგმილი კვლევის პროცესში ბრიტანეთის საბჭოს მიერ შერჩეული ბრიტანელი ექსპერტის ჩართულობას. კონკურსის ფარგლებში ბრიტანელი ექსპერტის მონაწილეობა განისაზღვრება შემდეგი მოვალეობების შესრულებით:
 - კვლევის განხორციელებისთვის საჭირო სარეკომენდაციო პაკეტისა და მარტივი კვლევის დიზაინის მომზადება ბენეფიციარების პროექტებისთვის, რომელიც დაეფუძნება შესაძლებლობების განვითარების იდეას, ასევე მარტივი კვლევის დიზაინის შექმნას;
 - 1 ან 2 დღიანი ღონისძიების პროგრამის მომზადება, რომელიც დაეფუძნება ბენეფიციარების საჭიროებათა ანალიზს;
 - კვლევის პროცესში ბენეფიციარებისთვის მენტორობის გაწევა (ონლაინ კონსულტაციების ჩატარება);
 - საბოლოო ანგარიშის მომზადება, რომელიც მოიცავს კვლევის პროცესის, მეთოდოლოგიის, ძირითადი დასკვნებისა თუ პოსტულატების შეჯამებას, ასევე რეკომენდაციების მომზადებას შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულებით სამომავლო კვლევითი პროექტებისთვის

ე) კონკურსის ბენეფიციარები, წესებითა და პირობებით გათვალისწინებული ვადების გათვალისწინებით წარმოადგენენ:

შემოქმედებითი ინდუსტრიების კვლევის მხარდაჭერა საქართველოში

1. კვლევის დოკუმენტს, რომელიც უნდა მოიცავდეს კვლევის მიგნებებს, ძირითადი პროცესისა და მეთოდოლოგიის აღწერას, შესაბამისი მიმართულებით მომზადებულ რეკომენდაციებს ან/და ინსტრუქციებს;
2. კვლევის ანგარიშის მოკლე რეზიუმეს ინგლისურ ენაზე. რეზიუმე უნდა მოიცავდეს ჩატარებული კვლევის ძირითად შედეგებსა და მიგნებებს, გამოყენებულ მეთოდოლოგიას, განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალს და რეკომენდაციებს (აღნიშნულ დოკუმენტაციას განიხილავს კონკურსში ჩართული ბრიტანელი ექსპერტი და წარმოადგენს საკუთარ შეფასებებსა და რეკომენდაციებს სამომავლოდ გასათვალისწინებლად);
3. შემოქმედებითი საქართველოს ანგარიშის ფორმასა და საჭირო ფინანსურ დოკუმენტაციას.

ვ) კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელი პირობაა საგრანტო კონკურსში ჩართული პერსონალიდან მინიმუმ ერთი მათგანი ფლობდეს ინგლისურ ენას, რათა შესაძლებელი გახდეს კონკურსის მიმდინარეობის პროცესში ბრიტანელ ექსპერსტთან კომუნიკაცია.

ზ) კონკურსი ფინანსდება ბრიტანეთის საბჭოს (British Council – <https://www.britishcouncil.org/>) „პოლიტიკისა და კვლევების“ პროგრამის ფარგლებში და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „შემოქმედებითი საქართველო“.

თ) კონკურსის აბრივიატურა SCIMIG -2020- 2021

ი) კონკურსი ცხადდება შემოქმედებითი საქართველოს ვებ-გვერდზე - <http://creativegeorgia.ge/> გამოქვეყნების გზით.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

- ა) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს;
- ბ) საქართველოში რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს;
- გ) საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირებს.

სასურველია, რომ წარმოდგენილი პროექტის განხორციელებაში ჩართული იყოს მინიმუმ 2 ორგანიზაცია, აქედან, 1 აპლიკანტი, ხოლო დანარჩენი - პარტნიორები.

3. პროექტით გათვალისწინებული თანხის მოცულობა:

შემოქმედებითი ინდუსტრიების კვლევის მხარდაჭერა საქართველოში

1. კონკურსის ფარგლებში ერთი პროექტისთვის სსიპ „შემოქმედებითი საქართველოდან“ მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა არ უნდა აღემატებოდეს 13 000 ლარს (ყველა გადასახადის გათვალისწინებით). აღნიშნული თანხა არ უნდა ითვალისწინებდეს ძირითადი საშუალებების, ინფრასტრუქტურული მომსახურებების შესყიდვას.

2. კონკურსის ფარგლებში ერთსა და იმავე ორგანიზაციას აქვს მხოლოდ ერთი განაცხადის წარმოდგენის უფლება.

4. პროექტის პირობები:

1. გამარჯვებული პროექტი შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ კონკურსის გზით, ხოლო დაფინანსება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების სახით მხოლოდ საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილ პროექტებზე; საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით;

2. გამარჯვებული პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა ჩაირიცხება ორ ეტაპად: 80%-მდე ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ხოლო თანხის დარჩენილი 20%-ის ჩაირიცხვა განხორციელებს დაფინანსების მიმდებარე მიერ წარმოდგენილი პროექტის ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიშის შემოწმებისა და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ. პროექტის ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიშის წარმოდგენის თარიღი განისაზღვრება ინდივიდუალურად, ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

3. სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ არ აანაზღაურებს: პროექტის ფარგლებში, ხელშეკრულების გაფორმებამდე გაწეულ ხარჯს, ბიზნესკლასის ავიაბილეთს და მაღალი კლასის სასტუმროს ხარჯებს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება თანადაფინანსება).

4. პროექტის ფარგლებში სამგზავრო ხარჯების ანაზღაურებისას სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ ხელმძღვანელობს „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N220 ბრძანებით დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში, ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად;

5. სსიპ „შემოქმედებით საქართველოსა“ და „ბრიტანეთის საბჭოს“ უფლება აქვთ შეზღუდვისა და ჰონორარის გადახდის გარეშე გამოიყენონ მხარდაჭერილი პროექტის

შემოქმედებითი ინდუსტრიების კვლევის მხარდაჭერა საქართველოში

ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ციფრული ან/და ნაბეჭდი ასლი, ნებისმიერი სახის აქტივობასა და სივრცეში;

- საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ მასალაზე ან კვლევის შედეგების შემდეგომ გამოცემაზე/განთავსებაზე სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „ბრიტანეთის საბჭოსა“ და სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ მხარდაჭერით.
- პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ფოტო, ვიდეო, ელექტრონულ, ნაბეჭდ პროდუქციაზე) სავალდებულოა განთავსდეს „ბრიტანეთის საბჭოსა“ და სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ ლოგო;
- სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე Online საკონსულტაციო შეხვედრებს მართავს, საკონკურსო ვადებში, ყოველ ხუთშაბათ დღეს, 14:00 საათიდან 15:00 საათამდე, Zoom- ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. ინფორმაცია საკონსულტაციო საათების დეტალური განრიგისა და შეხვედრის ბმულების თაობაზე განთავსდება „შემოქმედებითი საქართველოს“ ვებ-გვერდსა <http://creativegeorgia.ge/> და ორგანიზაციის Facebook გვერდზე: <https://www.facebook.com/creativegeorgiaLepl/>

5. კონკურსის ვადები:

- საკონკურსო დოკუმენტაცია ელექტრონული ფორმით მიიღება 2020 წლის 8 დეკემბრიდან - 22 დეკემბრის 18 საათამდე. მისამართზე: Lmetreveli@creativegeorgia.ge
- გამარჯვებულ პროექტებზე გადაწყვეტილებას იღებს სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია, საპროექტო განაცხადის მიღების ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
- გამარჯვებულ აპლიკანტებთან ხელშეკრულებები გაფორმდება კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა;
- კონკურსის შედეგები ქვეყნდება სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ ვებ-გვერდზე - <http://creativegeorgia.ge>, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;
- ყველა პროექტი უნდა დასრულდეს და საბოლოო ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2021 წლის 1-ლი მარტისა.

6. კონკურსის ადმინისტრირება:

შემოქმედებითი ინდუსტრიების კვლევის მხარდაჭერა საქართველოში

- 1) სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ უზრუნველყოფს კონკურსის ადმინისტრირებას და წარმოდგენილი აპლიკაციების ტექნიკურ ზედამხედველობას, რაც მოიცავს:
 - ა) კონკურსის წესებისა და პირობების, აპლიკაციის ფორმების, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშის ფორმების შემუშავებასა და დამტკიცებას;
 - ბ) კონკურსის გამოცხადებას;
 - გ) კონკურსში შემოსული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას საკონკურსო პირობებთან;
 - დ) პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების უზრუნველყოფას;
 - ე) კომისიის სხდომის ჩატარების უზრუნველყოფას და კომისიის შეფასებებზე დაყრდნობით, გამარჯვებული პროექტების გამოვლენას;
 - ვ) ბენეფიციარებთან ხელშეკრულების გაფორმებას და მათ დაფინანსებას.

6. პროექტის შერჩევის/შეფასების კრიტერიუმები

1. კომისია საკონკურსო განაცხადებს/აპლიკაციებს განიხილავს და აფასებს წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით:

№	შეფასების კრიტერიუმი I - კულტურის სექტორში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა ქულა	ქულა
---	--	------

შემოქმედებითი ინდუსტრიების კვლევის მხარდაჭერა საქართველოში

1	კვლევის საჭიროების ანალიზი - რამდენად აუცილებელია პროექტით გათვალისწინებული კვლევის განხორციელება შინაარსობრივი, სექტორული, ადგილმდებარეობის, რესურსების და სხვა საჭიროების მიხედვით.	15 ქულა
2	პროექტის სტრუქტურა - მეთოდოლოგია, ფუნქციები, შესრულების გეგმა და სხვა.	15 ქულა
3	ბიუჯეტი - ხარჯეფექტიანობა და შესაბამისობა დაგეგმილ აქტივობებთან.	10 ქულა
4	რელევანტურობა - რამდენად პასუხობს პროექტი კონკურსის მიზანს	10 ქულა
5	შესაბამისობა - რამდენად პასუხობს პროექტი პანდემიასთან დაკავშირებით დადგენილ შეზღუდვებს და ითვალისწინებს შესაბამის გარემოებებს.	5 ქულა
6.	პროექტის განვითარების პერსპექტივა და შედეგის ეფექტიანობა კვლევის/რეკომენდაციების პრაქტიკული გამოყენების პოტენციალი	15 ქულა
სულ		70 ქულა

8. განაცხადის წარდგენა

1. კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებმა მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ ელექტრონული ფორმით, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, საკონკურსო პირობებით დადგენილი ვადებისა და პირობების შესაბამისად;
2. პროექტთან დაკავშირებული ყველა შესავსები ფორმა ქვეყნდება შემოქმედებითი საქართველოს ვებ-გვერდზე - creativegeorgia.ge;
3. საპროექტო განაცხადის ელექტრონული ფორმა და სხვა სავალდებულო დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს ელ. ფოსტაზე Lmetreveli@creativegeorgia.ge - 2020 წლის 8 დეკემბრიდან - 22 დეკემბრის ჩათვლით, თბილისის დროით 18:00 საათამდე. წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიეთითოს კონკურსის აბრევიატურა: SCIMIG-2020-2021. (ელექტრონულად წარმოსადგენი დოკუმენტების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 20 MB-ს)
4. საპროექტო განაცხადი მიღებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ელექტრონულად გამოგზავნილ საპროექტო განაცხადზე ელ. ფოსტიდან Lmetreveli@creativegeorgia.ge, განმცხადებელი მიიღებს დასტურს, განცხადების მიღებისა და მისი საკომისიო განხილვის ეტაპზე გადასვლის შესახებ;
5. განცხადების ფორმალური გაუმართაობის შემთხვევაში სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას (არა უმეტეს 3 კალენდარული დღისა) ხარვეზის გამოსასწორებლად. ხარვეზი გამოსწორებულად ითვლება აღნიშნულ ვადაში

შემოქმედებითი ინდუსტრიების კვლევის მხარდაჭერა საქართველოში

შესაბამისი დაზუსტებული განაცხადის/დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის მომენტიდან;

6. რეკომენდირებულია, განცხადებები წარმოდგენილ იქნას საკონკურსო ვადის ამოწურვამდე სამი სამუშაო დღით ადრე მაინც, რათა ფორმალური გაუმართაობის ან ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, არ შეიქმნას შეფერხება;

7. დაგვიანებით წარმოდგენილი ან/და არასრულად შევსებული განაცხადის ფორმები ვერ მიიღებენ კონკურსში მონაწილეობას.

9. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი ყველა სავალდებულო დოკუმენტის ჩამონათვალი

1. ხელმოწერილი პროექტის განაცხადი შევსებული თანდართულ განაცხადის ფორმაში და წარმოდგენილი PDF დოკუმენტის სახით;

2. დანართი # 1 - დეტალური ბიუჯეტი (Excel-ის, ასევე PDF ფორმატში) (ბიუჯეტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ასეთის არსებობის შემთხვევაში);

3. დანართი # 2 - პროექტის განმახორციელებელი გუნდის ძირითადი წევრებისა და სხვა მონაწილეების რეზიუმეები/CV-ები ან/და პროფესიული ბიოგრაფიები/პორტფოლიოები;

5. დანართი # 3 - განმცხადებელი ორგანიზაციის ბოლო 6 თვის მანძილზე განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან <https://public.reestri.gov.ge/>. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) მოწმობა (სსიპ შემოსავლების სამსახური);

8. განაცხადის განხილვის პროცესში, სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ იტოვებს დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის უფლებას;

9. კონკურსის ფარგლებში არსებული ყველა სავალდებულო დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (გარდა ორგანიზაციის პორტფოლიოსი).

10. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. ბენეფიციარი ვალდებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად წარმოადგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტური ანგარიში;

2. პროექტის მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და შინაარსობრივ მონიტორინგს:

ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტის ბიუჯეტთან;

ბ) შინაარსობრივი მონიტორინგი გულისხმობს დაფინანსების ხელშეკრულებით დაგეგმილი აქტივობების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.

3. სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ მიერ ფინანსური მონიტორინგის განხორციელებისას:

შემოქმედებითი ინდუსტრიების კვლევის მხარდაჭერა საქართველოში

- ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება მხოლოდ დაფინანსებული პროექტის ბიუჯეტის მუხლების/პუნქტების/ქვეპუნქტების ფარგლებში განხორციელებული ხარჯი;
- ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება პროექტის ბიუჯეტის მუხლების/პუნქტების ფარგლებში გაუწერელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას;
- გ) ნაშთად ჩაითვლება პროექტის დასრულებისას არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას;
- დ) ბენეფიციარი ვალდებულია ფინანსური ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ წარმოუდგინოს სრულყოფილად, მასთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

11. დაფინანსებულ პროექტში ცვლილების განხორციელება

1. დაფინანსებული პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებსა და ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების ან/და ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ მოთხოვნა ბენეფიციარის მიერ უნდა მოხდეს ცვლილების საჭიროების გამოვლენიდან დაუყოვნებლივ, გაჭიანურების გარეშე.
2. სსიპ „შემოქმედებითი საქართველოდან“ მოთხოვნილი თანხის ბიუჯეტის პუნქტებს შორის გადატანა შესაძლებელია მხოლოდ 10 %-ის ოდენობით, წინასწარ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
3. ცვლილების შესახებ მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით (შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც, ოფიციალურ ელ. ფოსტაზე Lmetreveli@creativegeorgia.ge) და უნდა ასაბუთებდეს ცვლილების საჭიროებას და უთითებდეს, თუ როდის გახდა ცნობილი ცვლილების საჭიროება.
4. სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მოთხოვნა, რომლის საჭიროება არ არის დასაბუთებული, ან/და წარმოდგენილია არასაპატიო დაგვიანებით.
5. დაფინანსებულ პროექტში ცვლილების შესახებ ბენეფიციარის მიერ წერილობითი ფორმით წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებსა და ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების ან/და ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში, რაც ფორმდება წერილობითი ფორმით;
6. დაფინანსებულ პროექტში არსებული ცვლილების მოთხოვნის შემთხვევაში, სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ უფლებამოსილია აღნიშნული საკითხი შეათანხმოს საკონკურსო კომისიასთან.

შემოქმედებითი ინდუსტრიების კვლევის მხარდაჭერა საქართველოში

ამ კონკურსში პროექტის წარმოდგენით მონაწილე ორგანიზაციები ადასტურებენ, რომ წარმოდგენილი პროექტი მხოლოდ მათი ნამუშევარია. კონკურსის დროს მიღებულ დოკუმენტებს სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ მხოლოდ განხილვის მიზნით გამოიყენებს და არ გაუზიარებს გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ან პროექტის ავტორების მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული შემთხვევებისა.

კონკურსის „შემოქმედებითი ინდუსტრიების კვლევის მხარდაჭერა საქართველოში“ დაკავშირებული ყველა შესავსები ფორმა იხილეთ შემოქმედებითი საქართველოს ვებგვერდზე.

დაგვიანებით წარმოდგენილი ან/და არასრულად შევსებული განაცხადის ფორმები ვერ მიიღებენ კონკურსში მონაწილეობას.

საკონტაქტო ინფორმაცია

კონკურსთან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილ განაცხადზე დასტური არ მიიღეთ ერთ სამუშაო დღეში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელ. ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: Lmetreveli@creativegeorgia.ge